ტექნიკური დავალება

სატრანსპორტო მომსახურეობის შესყიდვა

მიკროავტობუსი მიწისმთხრელი მუშების გადასაყვანად (18 დასაჯდომი ადგილით), ინსტრუმენტის გადასდატანად და მისაბმელი კომპრესორის ტრანსპორტირებისათვის.

მოთხოვნები და პირობები

სამუშაო რეჟიმი:

- ყოველდღიურად ძირითადი სამუშო დრო 9 სთ–დან 19 სთ–მდე საათამდე, ტრანსპორტს დამკვეთის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა მოუწიოს მუშობა 19 საათის შემდეგაც, ბრიგადების მიერ სამუშაოების დასრულებამდე! შესაძლებელია მოხდეს გამოძახება ღამის საათებში თვეში დაახლოვებით 2–3 ჯერ (არსებული სტატისტიკის მიხედვით), ასევე არასამუშაო და სადღესასწაულო დღეებშიც;
- გადაადგილების მარშრუტი, საწყისი (გასვლის) წერტილი (ჩვეულებრივ სიტუაციაში) ქ. თბილისი ვანის ქუჩა, მოძრაობის არეალი ქ. თბილისისა და მასთან მიკუთვნებული ტერიტორიების მასშტაბით. ბრიგადის ხელმღვანელის მიერ მითითებულ მისამართზე, სამუშაო ბრიგადის და მათი სამუშაო ინსტრუმენტების ტრასპორტირება (სტატისტიკის მიხედვით ხორციელდება დღის განმავლობაში 1–2 ობიექტზე/ მისამართზე) , სამუშაოების დასრულებამდე მოცდა და ბრიგადის წევრთა უკან დამკვეთის ტერიტორიაზე ტრანსპორტირება.
- არსებული სტატისტიკის მიხედვით სატრანსპორტო საშუალებას დღის განმავლობაში საშუალოდ მოუწევს 30–40 კმ–დე, თუმცა მანძილი დამოკიდებულია სამუშაო ობიექტის მდებარეობაზე და ცვალებადია, ობიექტის მისამართის განსაზღვრა ხდება წინა დღეს.
- დამკვეთთან შეთანხმებით, გამქირავებლის სურვილის შემთხვევაში, სამუშაოების დასრულების შემდეგ, ტრანსპორტის პარკირება მომდევნო დილამდე შესაძლებლია დამკვეთის ტერიტორიაზე, (თუმცა ასეთ შემთხვევაში ტრანსპორტზე პასუხსიმგებლობა არ ვრცელდება დამკვეთზე)
- **მხოლოდ პანდემიის პერიოდში(როდესაც გაჩერებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტი):** მუშების შეკრება–შეგროვება რაიონების მიხედვით და ობიექტებამდე მიყვანა და სამუშაოს დამთავრების შემდეგ უკან დაბრუნება. კონკრეტულად, ტრანსპორტი ბრიგადის ხელმძღვანელთან და დამკვეთის წარმომადგენლებთან შეთანხმებისამებრ, დილით მოძრაობას იწყებს რომელიმე კონკრეტული შეთანხმებული <u>(დამკვეთისა და გამქირავებლისათვის ურთიერხელსაყრელი)</u> რაიონიდან, ჩერდება შეთანხმებულ ადგილზე რათა იმ რაიონში მცხოვრებმა ბრიგადის წევრებმა შეძლონ მისვლა შეკრების ადგილებამდე, ასევე

დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისას, გზაში აიყვანოს გზის გასწვრივ ან მახლობლად არსებულ რაიონებში მცხოვრები ბრიგადის წევრები, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინასწარ შეთანხმებული შეკრების ადგილებიდან, მათი დანიშნულების ადგილზე მიყვანის მიზნით, იგივე პრინციპი მოქმედებს უკან დაბრუნების დროსაც, ასეთ დროს ობიქტზე მისვლის, დრო და ბრიგადის წევრთა ლოდინის პერიოდი თანხმდება წინასწარ, თუმცა საწყის წერტილზე გაჩერების შეთანხმებული დროს მოცდის ვადა არ უნდა აღემატებოდს 15 წუთს. ხოლო გზაზე, შეკრების წერტილზე გაჩერების 5 წუთს.

<u>დაქირავებულის ვალდებულება:</u>

- სატრანსპორტო საშუალების კვალიფიცირებული მძღოლითა და საწვავით უზრუნველყოფა;
- სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს ტექნიკურად გამართული, გავლილი ჰქონდეს ტექ. ინსპექტირება და ვიზუალურად ნორმალურ მდგომარეობაში.
- სატრანსპორტო საშუალებით დამკვეთის წარმომადგნლების- მუშების გადაყვანა ობიექტზე, ასევე დამკვეთის მისაბმელი კომპრესორის ტრანსპორტირება, დალოდება (საჭიროების შემთხვევაში სხვა ობიექტზე გადაყვანა) და სამუშაოების დამთვრების შემდეგ საწყის წერტილზე დაბრუნება;
- თუ სამუშაოები დროზე ადრე დამთავრდება და სხვა ობიექტზე გადაყვანა არ იქნება საჭირო ავტომანქანა ამთავრებს მუშაობას;
- ავტომანქანა უნდა იყოს აღჭურვილი უკანა ჩასაბმელით, დამკვეთის კუთვნილი ან დაქირავებული მისაბმელი სტანდარტული კომპრესორის ჩასაბმელად და ობიექტამდე გადასაადგილებლად საჭირო მოწყობილობით;
- დაქირავებული ვალდებულია სამუშაო პერიოდში ავტომანქანის დაზიანებისა და მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ოპერატიულად შეაკეთოს ან ჩაანაცვლოს სხვა შესაბამისი(ანალოგიური) ტექნიკით, რომ არ შეფერხდეს სამუშო პროცესი;
- ავტომანქანა აღჭურვილი უნდა იყოს GPS მოწყობილობით ან უნდა აღიჭურვოს სამუშაოების დაწყებამდე.
- ავტომანქანამ საბარგო განყოფილებით, უნდა გადაიტანოს მიწის სათხრელი სახვადასხვა დანიშნულების ინსტრუმენტები (ნიჩაბი, წერაქვი, ძალაყინი და სხვა) და ასევე მუშების პირადი გამოსაცვლელი სამუშო ტანსაცმელი.

<u>დაქირავებულის ანაზღაურება;</u>

- ანაზღაურება ხორციელდება ყოველი ნამუშევარი დღის მიხედვით, (თუ საჭიროებიდან გამომდინარე, გამოძახება მოხდება ღამე, აღნიშნული ცალკე ანაზღაურებას არ ექვემდებარება ითვლება წინა დღის ნამუშევრად და ანაზღაურდება ერთი დღის გადასახადის ჭრილში) ანაზღაურება წარმოებს თვეში ერთხელ, ყოველი თვის 10 რიცხვში. გადარიცხვით, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგზურის ფურცლის საფუძველზე.
- თუ სატრანსპორტო საშუალება არ იმუშავებს რომელიმე დღეს ის დღე არ ანაზღაურდება.

შემოთავაზება

- დაინტერესებულმა პირმა მომსახურების ფასი უნდა წარმოადგინოს ერთ დღეზე გაანგარიშებით, ყველა გადასახდის ჩათვლით, გამოხატონ თანხმობა შემსყიდველის პირობებზე და წარმოადგინონ შემოთავაზება.
- ხელშეკრულება გაფორმდება ყველაზე მისაღები ფასისა და პირობების მქონე პირთან.
- შემსყიდველი უფლებამოსილია არ გააფორმოს ხელშეკრულება არცერთ მონაწილესთან ან შეაჩეროს შესყიდვის პროცესი.

<u>გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ ტექნიკური დავალების მოთხოვნებს!</u>

შეთანხმებულია:

კორპორაციული განვითარების და საწარმოო

საქმიანობის უზრუნველყოფის დირექტორის მოადგილე გ. ჩიხრაძე

ტრანსპორტის სამსახურის უფროსი ბ. მოისწრაფიშვილი

სამშენებლო–სამონტაჟო გ–ბის უფროსი დ.კაჭკაჭიშვილი

შემსრულებელი:

ტრანსპორტის სამსახურის ტექნიკური გ–ბის უფროსი ზ. გურასპაშვილი